შპს „New City Development”

კონკურსი

კურორტ ბახმაროში ახალი უბნის არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტაზე

პროგრამა და პირობები

თბილისი, 2024 წელი

კონკურსის ორგანიზატორი:

შპს New City Development-ის მმართველი პარტნიორი

(ა.ზერეკიძე)

კონკურსის მხარდამჭერი:

- ააიპ „საქართველოს არქიტექტორთა კავშირი“

*წინამდებარე კონკურსის **„პროგრამა და პირობები“** შედგენილია არქიტექტურის კანდიდატის, სტუ-ს პროფესორის - ვლადიმერ (ლადო) ვარდოსანიძის მიერ, არქიტექტურის მაგისტრანტის - დიანა სამსონიას მონაწილეობით.*

სარჩევი

პრეამბულა 2

1. **საკონკურსო არეალის მოკლე დახასიათება** 3
2. **კონკურსის ჩატარების ზოგადი დებულებები** 3
3. **კონკურსის მიზანი და ამოცანები** 5
4. **კონკურსის მონაწილეთა წრე და მათი რეგისტრაცია** 6
5. **კონკურსის მონაწილეებზე გასაცემი მასალა** 6
6. **კონკურსის ჩატარების კალენდარული გრაფიკი** 7
7. **საკონკურსოდ წარმოსადგენი მასალის შემადგენლობა და ფორმა** 7
8. **კონკურსის ჟიურის შემადგენლობა და მუშაობის წესი** 7
9. **კონკურსში გამარჯვებულთა გამოცხადება და დაჯილდოება** 8
10. **საკონკურსო პროექტებზე საკუთრების/საავტორო უფლება** 8
11. **კონკურსის შემდგომი ქმედებები** 11

პრეამბულა

გურიის რეგიონში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდებარე კლიმატური მაღალმთიანი კურორტი - ბახმარო მზარდი პოპულარობით სარგებლობს. სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ გასცა დავალება (CNT230000058) ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიაზე ახალი უბნის განსავითარებლად. ეს ტერიტორია გამოიყო ბახმაროს ტრადიციული განაშენიანების ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც გადაწყდა ახალი სააგარაკო უბნის დაგეგმარება. ამ მიზნით, ცხადდება სტუდენტური კონკურსი „კურორტ ბახმაროში ახალი უბნის განაშენიანების დეტალური გეგმის გადაწყვეტაზე.“

1. საკონკურსო არეალის მოკლე დახასიათება

საპროექტო არეალი მდებარეობს მუნიციპალიტეტის ცენტრიდან - დაბა ჩოხატაურიდან კურორტ ბახმაროსაკენ მიმავალი გზის შ-81-ისა და საკუთვრივ კურორტ ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში. ტერიტორიის საერთო საორიენტაციო ფართობი შეადგენს 39 ჰა-ს. საპროექტო არეალის ზომებია 1100 მეტრი 650 მეტრზე; ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის მოქმედი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით არეალზე ვრცელდება ბუნებრივ-ლანდშაფტური (არსებული) და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი (არსებული და საპროექტო ტერიტორიები. იმავე მიმდინარე პროექტის დოკუმენტაციის მონაცემებით (NCD-ის მიერ) საპროექტო არეალზე არ იდენტიფიცირდება შესწავლილი და დადგენილი ბუნებრივი საფრთხეები, თუმცა მიმდებარედ არის ზვავსაშიში არეალი, იხ. დანართი. საპროექტო ტერიტორიაზე არ არის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები ან ბუნების ძეგლები. რელიეფის დახრილობა ნაწილობრივ აღემატება 30%-ს. არეალს არ აქვს სატრანსპორტო უზრუნველყოფის პრობლემა, ვინაიდან, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სავტომობილო გზის შ-81-ის გასწვრივ მდებარეობს.

2. კონკურსის ჩატარების ზოგადი დებულებები

2.1 კონკურსის ორგანიზატორი შპს „New City Development";

2.2 კონკურსის პროგრამა და პირობები შეთანხმებულია ორგანიზატორთან;

2.3 მისი რეკვიზიტებია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა N6, ელ. ფოსტა: ncd@info.ge; საჯარო რეესტრის მონაცემი: 205249248

2.4 კონკურსი დახურულია; მასში მონაწილეობის უფლება აქვთ: საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათებლო დაწესებულების არქიტექტურისა ან/და ქალაქგეგმარებითი (მასთან დაკავშირებული მიმართულებით) მაგისტრანტებს და დოქტორანტებს, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. დასაშვებია მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტების თანამშრომლობა კონკურსის მონაწილე სტუდენტ-არქიტექტორებთან/ურბანისტებთან (მაგალითად, ეკოლოგი, გეოლოგი, ინჟინერ-კონსტრუქტორი და ა.შ.);

2.5 აუცილებელია კონკურსის მონაწილეების კონსულტირება შესაბამისი არქიტექტურული სკოლის პედაგოგის მიერ; კონსულტანტის გვარი უნდა ფიგურირებდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში. კონსულტანტი არ შეიძლება იყოს კონკურსის ჟიურის ჟიურის წევრი;

2.6 საკონკურსო პროექტების წარდგენისას აუცილებელია შემდეგი მონაცემების მითითება:

- მონაწილის სახელი და გვარი;
- აკადემიური ხარისხი
- საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება (კურსდამთავრებულის შემთხვევაში დიპლომი)
- სპეციალობა;
- მუშაობის ფორმატი (ინდივიდუალური ან ჯგუფური);
- კონსულტანტი;

2.7 კონკურსი ერთტურიანი, სახელობითია და უფასო;

2.8 კონკურსის ყოველ მონაწილეს შეუძლია მხოლოდ ერთი საკონკურსო პროექტის წარდგენა ან/და კონკურსანტთა მხოლოდ ერთ ჯგუფში მონაწილეობა;

2.9 კონკურსის სამუშაო ენა არის ქართული;

2.10 ინფორმაცია კონკურსის თაობაზე თავსდება ორგანიზატორისა და შესაბამისი საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების „ონლაინ-პლატფორმებზე“;

2.11 საკონკურსო მასალის წარდგენა და საკონკურსო საქმიანობის წარმართვა იწარმოებს ქართულად.

2.12 კონკურსის მონაწილეებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია კონკურსის ვებ გვერდზე.

2.13 კონკურსის „ჟიურის“ მიერ საკონკურსო მასალების განხილვა მოხდება და შესაბამისად კონკურსი ჩაითვლება შემდგარად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში წარმოდგენილი იქნება ორი ან მეტი საპროექტო კონცეფცია.

2.14 „საკომკურსო პირობების“ დარღვევით წარდგენილი საკონკურსო მასალები არ განიხილება და შესაბამისად მოხდება მისი დისკვალიფიკაცია.

2.15 კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდება, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად დაშვებული იქნება მხოლოდ 1 პროექტი. ასეთ შემთხვევაში, ორგანიზატორი უხდის ერთადერთ მონაწილეს საკონკურსო ფონდში გათვალისწინებულ მესამე ადგილის ოდემობის პრემიას, ეს პროექტი გადადის ორგანიზატორის საკუთრებაში;

2.16 წინამდებარე „პროგრამა და პირობების“ მოთხოვნათა შეუსრულებლობა წარმოადგენს შესაბამისი პროექტის კონკურსიდან გამორიცხვის საფუძველს. ამგვარი გადაწყვეტილება, კონკურსის პასუხისმგებელი მდივნის არგუმენტირებული წარდგინებით, მიიღება კონკურსის ჟიურის მიერ და აისახება ოქმში;

2.17 კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კონკურსის პასუხისმგებელი მდივნისაგან - დიანა სამსონიასაგან; ელ.ფოსტა: competitioninfo.ge@gmail.com ტელ.: 558-144-508.

2.18 კონკურსანტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, ასევე, კონკურსანტის მიერ მცდარი ინფორმაციის წარმოდგენა, “კონკურსის პირობების“ მოთხოვნათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობა, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით იწვევს კონკურსის მონაწილის სტატუსის შეჩერებას.

3. კონკურსის მიზანი და ამოცანები

კონკურსის მიზანს წარმოადგენს კურორტ ბახმაროს განსავითარებლად გამოყოფილ ტერიტორიაზე ისეთი ხედვის, კონცეფციისა და ფუნქციურ გეგმარებითი გადაწყვეტისა და განაშენიანების პროექტ(ებ)ის შერჩევა, რომელთა განხორციელება სრულად უპასუხებს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ ჩამოყალიბებულ ამოცანებს, სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და, საბოლოოდ, განხორციელების შემდეგ, ჩამოაყალიბებს საკურორტო-სარეკრეაციო გარემოს უმაღლეს სტანდარტს. ამ მიზნის მისაღწევად საკონკურსო პროექტებმა უნდა გადაწყვიტოს შემდეგი **ამოცანები:**

- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება;
- ახალი უბნის ქალაქთმშენებლობის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია, როგორც საკუთრივ უბნის სამომავლო მოსახლეობის მრავალმხრივი ინტერესები, ისე, ახალი უბნის, მთელი კურორტის მასშტაბით ჩამოყალიბებული ქალაქმაფორმირებელი როლი;
- ახალი უბნის ფუნქციონირების გააზრება მთელი წლის განმავლობაში (4 სეზონიანობა);
- ტერიტორიის დაგეგმარება არატიპური, არახაზოვანი, არაერთგვაროვანი განაშენიანების გადაწყვეტებით, სამთო/ალპური კურორტისთვის დამახასიათებელი, სტრუქტურისა და არქიტექტურული იერსახის ჩამოყალიბება; (კურორტისთვის დამახასიათებელი თავისთავადობის გათვალისწინებით)
- კომერციული და საჯარო (სოციალურ-კულტურული) ინფრასტრუქტურის ობიექტების გათვალისწინება და საზოგადოებრივი სივრცეების მაქსიმალური გამოყენება;
- განხილულ იქნას მდგრადი მობილობის პოტენციალი, ბახმაროს ძირითად დასახლების ცენტრთან დამატებითი კავშირების შესაძლებლობა (მაგ.საჰაერო-საბაგირო გზა „ფუნიკულიორი“);
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი უბნის დაკავშირება გენერალური გეგმით გათვალისიწინებულ სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურასთან;
- „მწვანე მობილობის“ პრინციპის შემუშავება და სახლებთან ავტომობილების მისადგომობის გადაწყვეტა;
- საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის გეგმარებითი უზრუნველყოფა არ წარმოადგენს სტუდენტური პროექტების ამოცანას;
- პროექტის ერთ-ერთ ამოოცანას წარმოადგენს ახალი უბნის განაშენიანების ზოგადი არქიტექტურულ-მხატვრული, ესთეტიკური, იერსახის წარმოდგენა(სამშენებლო მასალა, მისი ფაქტურა, ტექსტურა და ფერები, გამწვანების პრინციპები, ნაკვეთების გამმიჯნავი ღობეების გადაწყვეტა და ა.შ.);
- ალტერნატიული ენერგიის გამოყენების არქიტექტურულ-გეგმარებითი პრინციპების შემუშავება.

- ნაკვეთების საპროექტო რაოდენობა არ წარმოადგენს პროექტის შეფასების მკაცრ კრიტერიუმს, თუმცა, სასურველია საპროექტო არეალის ქალაქთმშენებლობითი რესურსის ოპტიმალური გამოყენება.

4. კონკურსის მონაწილეთა წრე და მათი რეგისტრაცია

4.1 აუცილებელია კონკურსის მონაწილეების კონსულტირება შესაბამისი არქიტექტურული სკოლის პედაგოგის მიერ; კონსულტანტის გვარი უნდა ფიგურირებდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში. კონსულტანტი არ შეიძლება იყოს კონკურსის ჟიურის წევრი;

4.2 კონკურსის მონაწილეები გადიან რეგისტრაციას კონკურსის პასუხისმგებელ მდივანთან ელექტრონულად; რეგისტრაციის მომენტიდან მათსა და კონკურსის ორგანიზატორთა შორის წარმოიშვება სამართლებრივი ურთიერთობები.

5. კონკურსის მონაწილეებზე გასაცემი მასალა

დრაივის ბმული: https://drive.google.com/drive/folders/1WHO04VB9cBTkm-NiYN0BAqtbUCVsH-1a

მოცემული მასალები:

- 2019 წლის 2 დეკემბრის დადგენილება N589-ით დამტკიცებული ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის გრაფიკული ნაწილი;
- საკონკურსო ტერიტორიაზე, ორგანიზატრის მიერ შესრულებული კვლევები:
  - ტექსტური დოკუმენტაცია;
  - გრაფიკული ნაწილი (რუკები pdf - სახით);
  - რუკებში გამოყენებული მასალის სამუშაო ფაილები (დანართები).

6. კონკურსის ჩატარების კალენდარული გრაფიკი

6.1	კონკურსის საჯაროდ გამოცხადება მონაწილეთა არქიტექტურულ სკოლებში	23-24 აპრილი
6.2	საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა NCD-ის ოფისში	25 აპრილი
6.3	კონკურსის მონაწილეთა ონლაინ რეგისტრაცია	26 აპრილი
6.4	ამოსავალი მასალის გავრცელება(ელექტრონულად).	27 აპრილი
6.6	კონკურსთან დაკავშირებული შეკითხვების გამოგზავნა და პასუხების მიღება კონკურსის პასუხისმგებელ მდივნისაგან (ელექტრონულად)	კონკურსის დაწყებიდან დასრულებამდე
6.7	საკონსურსო პროექტების წარმოდგენა და რეგისტრაცია (ელექტრონულად)	20 მაისი
6.8	კონკურსის ჟურის მუშაობა	22 მაისი
6.9	კონკურსის შედეგების გამოცხადება, სიგელების და პრემიების მინიჭება მოხდება NCD-ის ოფისში, ა.საკანდელიძეს N6.	23 მაისი

7. საკონკურსოდ წარმოსადგენი მასალის შემადგენლობა და ფორმა

7.1 პროექტის განმარტებითი ბარათი არაუმეტეს 3 გვერდი, ფონტის ზომა 12, შრიფტის სტილი - Sylfaen, მანძილი პწკარებს შორის 1.5;

7.2 გრაფიკა ელექტრონულ ფორმატში PDF სახით (სამუშაო ფაილები - საჭიროების შემთხვევაში);

7.3 სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია;

7.4 სხვა მოთხოვნები წარმოსადგენი მასალის მიმართ იხილეთ დრაივზე;

7.5 პრეზენტაცია Power Point-ში არაუმეტეს 10 წთ.

8. კონკურსის გამარჯვებულები

8.1. საკონკურსო „კომისიის“ მიერ გამოვლინდება სამი საუკეთესო კონცეფცია, რომელთა ავტორებს ან/და ავტორთა ჯგუფს გადაეცემა საპრიზო ფონდის ოდენობის თანხა;

8.2. კონკურსში ყოველ მონაწილეს გადაეცემა მონაწილის სერტიფიკატი.

9. კონკურსანტებისათვის ვებ გვერდიდან ჩამოსატვირთი საკონკურსო მასალების შემადგენლობა.

საკონკურსო კონცეფციის შემუშავებისათვის კონკურსში მონაწილე პირებს, შეუძლიათ

ჩამოტვირთონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

10. კონკურსის ჟიურის შემადგენლობა და მუშაობის წესი

10.1 ჟიურის შემადგენლობა, შემდეგი უწყებების/ორგანიზაციების წარმომადგენლები:
- შპს „ნიუ სითი დეველოფმენთ“
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
- საქართველოს არქიტექტორთა კავშირისამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენელი

10.2 ჟიურის მუშაობის წესი დგინდება პირველივე სხდომაზე, მისაღებია როგორც დისტანციური, ისე პირისპირ შეხვედრების ფორმატებში;

10.3 გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭის ყრით, ხმათა უმრავლესობით;

10.4 თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტია ჟიურის თავმჯდომარის ხმა;

10.5 ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

10.6 კონკურსის ჟიური შეიმუშავებს რეკომენდაციებს და გადასცემს შემდგომი ქმედებებისთვის კომპანია NCD-ს.

11. კონკურსში გამარჯვებულთა გამოცხადება და დაჯილდოება

11.1 კონკურსში გამარჯვებულები ცხადდება საჯაროდ, ჟიურისგადაწყვეტილებით

11.2 გამარჯვებულებს და მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი სიგელები და შემდეგი ოდენობის პრემიები:
- I ადგილისათვის - 3000 ლარი;
- II ადგილისთვის - 2000 ლარი;
- III ადგილისთვის - 1500 ლარი;
- კონკურსის სხვა მონაწილეებს გადაეცემათ კონკურსში მონაწილეობის დამადასტურებელი სიგელები.

11.3 საპრემიო თანხები იბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

11.4 დასაშვებია დამატებითი პრემიების დაწესება, რომლებსაც გასცემს დამწესებელი იურიდიული ან ფიზიკური პირი;

12. საკონკურსო პროექტებზე საკუთრების/საავტორო უფლება

საკონკურსო პროექტებზე საკუთრების უფლება წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V

საავტორო უფლების გადაცემა

მუხლი 36. ავტორის ქონებრივი უფლებების გადაცემა

ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შეუძლია ყველა ქონებრივი უფლება ან მათი ნაწილი გადასცეს უფლებამონაცვლეს.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 - სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

თავი II

საავტორო უფლებები

მუხლი 5. საავტორო უფლების ობიექტები

1. საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

2. საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა.

3. საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 - სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 6. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები

თ) არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის ან საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოები;

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კანონი №1693 - სსმ I, №28, 28.10.2002 წ., მუხ. 129

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 - სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

მუხლი 18. ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება.

2. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) ნაწარმოების რეპროდუცირება (რეპროდუცირების უფლება);

ბ) ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების გავრცელება გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით (გავრცელების უფლება);

გ) ნაწარმოების ასლების იმპორტირება გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით, იმ ასლების ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით (იმპორტის უფლება);

დ) ნაწარმოების საჯარო ჩვენება (საჯარო ჩვენების უფლება). ეს უფლება არ გამოიყენება, თუ საჯარო ჩვენება არის სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებული ნაწარმოების კანონიერი შესყიდვის შედეგი;

ე) ნაწარმოების საჯარო შესრულება (საჯარო შესრულების უფლება);

ვ) ნაწარმოების საჯარო გადაცემა, პირველი ან/და ხელახალი გადაცემის ჩათვლით; აგრეთვე ნაწარმოების გადაცემა სადენით ანდა უმავთულო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან (საჯარო გადაცემის უფლება);

ზ) ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება);

თ) ნაწარმოების გადამუშავება (გადამუშავების უფლება);

ი) ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის გაქირავება ან/და მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა;

კ) ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება.

3. ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს საავტორო ჰონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის (ჰონორარის უფლება).

6. არქიტექტურული, ქალაქმშენებლობისა და საბაღე-საპარკო პროექტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება მოიცავს ასეთი პროექტების განხორციელების უფლებას.

საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი №1585 - სსმ I, №31, 27.06.2005 წ., მუხ. 198

საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3450 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.

13. კონკურსის შემდგომი ქმედებები

კონკურსის დასრულების შემდეგ ინიციატორს აქვს უფლება გამოიყენოს პრემირებული საკონკურსო პროექტები ან მათი ნაწილები/დებულებები/გეგმარებითი ხერხები, ორგანიზატორის შეხედულებებისამებრ, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.